

დამტკიცებულია რექტორის მიერ

ბრძანება N 01-01/19

28.03.2018 წ

## წესი პლაგიატის შესახებ



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი



### წესი პლაგიატის შესახებ

„წესი პლაგიატის შესახებ“ არეგულირებს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან/და „გთუნი“) აკადემიური პერსონალისა და სუდენტთა ვალდებულებას დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები, უნივერსიტეტის რეპუტაცია და არ დაუშვას პლაგიატის არც ერთი ფორმის გამოვლენა. ამ წესის მიზანია პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების პროცედურების დაზუსტება, პლაგიატის აღმოჩენისა და რეაგირების ინსტრუმენტების ერთმანეთთან დაკავშირება და თანმიმდევრული გამოყენება.

**მუხლი 1. პლაგიატი** (ლათ: Plagiat) ზოგადად ნიშნავს სხვა ადამიანის ნაშრომის გამოყენებას მითვისებას, ავტორის მითითების გარეშე, რაც არაკეთილსინდისიერი საქციელია;

- 1.1. პლაგიატი ეწინააღმდეგება გთუნის შინაგანაწესს და ეთიკის კოდექსს;
- 1.2. როგორც წინასწარგანზრახული, ასევე უნებლიე პლაგიატი ექვემდებარება სანქციებს;

### **მუხლი 2. პლაგიატის ფორმები:**

- 2.1. პირდაპირი პლაგიატი-სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების გამოყენება და გავრცელება ავტორის მითითების გარეშე;
- 2.2. პერიფრაზირებული პლაგიატი - სხვისი აზრის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა ავტორის მითითების გარეშე;
- 2.3. მოზაიკური პლაგიატი - მოზაიკური პლაგიატისას სხვადასხვა წყაროებიდან აღებული მოსაზრებების იმგვარი გაერთიანება, როდესაც ცალკეული ავტორი მითითებული არ არის;
- 2.4. პლაგიატი დაუდევრობით - არასწორი ციტირება დაუდევრობის გამო;
- 2.5. საავტორო უფლებების დარღვევა - სხვისი ნაშრომის გამოყენება საავტორო უფლებების მოპოვების გარეშე;
- 2.6. თვითპლაგიატი - საკუთარი ნაშრომის განმეორებით გამოყენება ორიგინალური წყაროს მიუთითებლად;
- 2.7. პირველწყაროს ტექსტის მცირედი, „კოსმეტიკური“ ცვლილებები ( მაგალითად, რამდენიმე სიტყვის ან წინადადების წყობის შეცვლა თუ აზრი იგივეა) ავტორის მითითების გარეშე;
- 2.8. გამოუქვეყნებელი მასალის (სტუდენტის ნაშრომი, ბლოგი, ლექციის ჩანაწერები, კონსპექტი, ლექცია, ზეპირი სიტყვა და სხვა) გამოყენება ავტორის/წყაროს მითითების გარეშე;

2.9. ვებ გვერდის, ფილმის, სატელევიზიო გადაცემის და სხვა გამოყენება ავტორის/წყაროს მითითების გარეშე;

*საყოველთაოდ ცნობილი „ზოგადი ცოდნის“ გამოყენება-გავრცელება პლაგიატი არ არის და წყაროს მითითებას არ საჭიროებს.*

### **მუხლი 3. აკადემიური პერსონალის და სტუდენტის ვალდებულება:**

3.1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტის ვალდებულებაა თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს ამ წესით პლაგიატის შესახებ;

3.2. არ დაუშვას მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი პლაგიატი სარც ერთი ფორმის გამოყენება და/ან პლაგიატის წახალისება, როგორც წინასწარი განზრახვით, ისე უნებლიედ, პირდაპირი თუ ირიბი გზით;

3.3. საფუძვლიანად იცნობდეს და იცავდეს უნივერსიტეტის მიერ აღიარებულ და დამტკიცებულ აკადემიური წერის სტილს (ბიბლიოგრაფიული მონაცემების გაფორმება, ციტირების სტილი და ა.შ.).

### **მუხლი 4. უნივერსიტეტის ვალდებულება:**

4.1. მონიტორინგი გაუწიოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტის საქმიანობის ეთიკურობას და დროული რეაგირება მოახდინოს ყველა გამოვლენილ დარღვევაზე;

4.2. უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისა ინფორმირებულობის ზრდა და პრევენციის ღონისძიებების გატარება პლაგიატთან დაკავშირებით:

- პლაგიატთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად ე.წ. „პლაგიატის კომისიის“ შექმნით;
- მარეგულირებელი დოკუმენტების საჯაროობით;
- საინფორმაციო-საორიენტაციო შეხვედრებით პროფესორებთან და სტუდენტებთან;
- სპეციალური ვორქშოპებით;
- კოლეგიალური შეფასების ინსტრუმენტებით;
- სტუდენტების მიმდინარე დავალებების შეფასების წესებში (სილაბუსებში) ასახვით;
- სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის შეფასების წესებში ასახვით;
- აკადემიური წერის კურსის ეფექტიანობის გაზრდით;
- და სხვა.

4.3. პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმების დანერგვა:

- აკადემიური ნაშრომების რეპოზიტორის (ბაზების) შექმნა;
- ნაშრომების ვებ-გვერდზე გამოქვეყნება;
- პლაგიატის აღმოჩენის ტექნიკური საშუალებების დანერგვაზე ზრუნვა (ელექტორნული პროგრამები ან ინტერნეტით სკანირება, ისეთი ინსტრუმენტების შექმნა, ან პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა, რომლებიც ეხმარება მკვლევარს ციტირებაში მაგალითად, EndNote, Zotero და სხვა. მათი დანერგვისთვის ტრენინგების ჩატარება.);
- უნივერსიტეტში მორის თანამშრომლობის გადრმავება პლაგიატის დამლევისთვის.

4.4. პლაგიატზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება და გატარება:

- პლაგიატის აღმოჩენისა და რეაგირების ინსტრუმენტების ერთმანეთთან დაკავშირება და თანმიმდევრული გამოყენება;
- პლაგიატის საქმის წარმოების დაწყება პლაგიატის შემთხვევის აღმოჩენისა და დაფიქსირების მომენტიდან;
- პლაგიატზე რეაგირება.

#### **მუხლი 5. პლაგიატის საქმის წარმოების წესი:**

- 5.1. პლაგიატის შემთხვევის აღმოჩენისა და დაფიქსირების მომენტიდან გთუნი მიუკერძოებლად შეისწავლოს საკითხს და გამოიტანს ობიექტურ დასკვნას;
- 5.2. პლაგიატის აღმომჩენი განცხადებით მიმართავს გთუნის რექტორის მოადგილეს სამეცნიერო საქმიანობის დარგში, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და დეკანთან ერთად კონფიდენციალურად განიხილავს დაფიქსირებულ დარღვევას;
- 5.3. ეჭვის საფუძვლიანობის დადასტურების შემთხვევაში იქმნება შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომისია, რომელიც შეიმუშავებს კონკრეტული პლაგიატის საქმის წარმოების პროცედურას და გამოაქვს შესაბამისი დასკვნა;
- 5.4. კომისიის დაკომპლექტებისას უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობა;
- 5.5. თუ კომისიის დასკვნით დასტურდება პლაგიატის ფაქტი/ფაქტები, ეს უპირველესად ეცნობება პირს, ვის მიმართაც მიმდინარეობს საქმის წარმოება, რათა მას მიეცეს ახსნა-განმარტების საშუალება კომისიის წინაშე;
- 5.6. თუ ახსნა-განმარტება ვერ შეცვლის დასკვნის არსს, პირის მიმართ გატარდება დარღვევის სიმძიმის შესაბამისი ზომები;
- 5.7. თუ პირი, ვის მიმართაც პლაგიატის წესის დარღვევის გამო გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული ზომა, არ ეთანხმება კომისიის დასკვნას, ის უფლებამოსილია დავა გააგრძელოს სასამართლოში.

#### **მუხლი 6. გარდამავალი დებულება**

- 6.1. წესი პლაგიატის შესახებ მტკიცდება რექტორის ბრძანებით;
- 6.2. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით;
- 6.2. ეს წესი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე;
- 6.3. დაევალოს კანცელარიას ბრძანების გავრცელება ყველა სტრუქტურულ ერთეულში.